




ხაშურის მთაშუა



№11 (262)

6 ივლისი, ორშაბათი, 2020 წელი

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 6 ივლისიდან სოფელ მუშევანში მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები მოიხსნება; დასაშვები ხდება ტრენინგებისა და კონფერენციების ჩატარება დახურულ სივრცეშიც

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ მუშევანში მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები ორშაბათიდან, 6 ივლისიდან მოიხსნება, - აღნიშნული გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ, ადგილზე არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების ანალიზის საფუძველზე, დღევანდელ სხდომაზე მიიღო.

ამასთან, საბჭოს გადაწყვეტილებით, დღეიდან დასაშვები ხდება ტრენინგებისა და კონფერენციების ჩატარება დახურულ სივრცეშიც, ასევე ორშაბათიდან



გაიხსნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც, ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის შემოწმების შედეგად, დადგინდეს სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებენ.

ოლოგიურ ტენდენციებზე დაკვირვებას და გადაწყვეტილებებს სხვა საქმიანობების გახსნასთან დაკავშირებით ეტაპობრივად მიიღებს.

საბჭოს წევრებმა განიხილეს მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და ხაზი გაუსვეს მაღალი მობილობის პირობებში ვირუსის გავრცელების კონტროლის იმ შედეგების შენარჩუნების აუცილებლობას, რომელიც დღეს საქართველოს აქვს.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა ასევე იმსჯელეს ტურიზმის გახსნის მიმართულებით ფრთხილი და ეტაპობრივი მიდგომის შენარჩუნების აუცილებლობაზე, ვინაიდან მოქალაქეების უსაფრთხოება ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტია. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ თითოეული ნაბიჯი გაზომილია და გამოწვეულია მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობით და იმ მიღწევებით, რომელიც დღეს საქართველოს აქვს. საქართველოს მთავრობა ყურადღებით ეცნობა ევროკავშირში არსებულ ტენდენციებს და შესაბამის გადაწყვეტილებებს ევროპულ პარტნიორობთან სრულ კოორდინაციაში იღებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდგომ და მას შემდეგ, რაც მსოფლიოში დაწესებული მკაცრი შეზღუდვები ეტაპობრივად გაუქმდა, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ჩარტერული რეისები შეჩერდა, თუმცა ფრენები ევროპის მიმართულებით არ შეწყვეტილა და კომპანია „აირზენას“ მიერ საშუალება, შეასრულოს კომერციული ფრენები ევროპის მიმართულებით, ბაზარზე არსებული საჭიროების გათვალისწინებით. დღევანდელი მონაცემებით, მხოლოდ ივლისში უკვე დაგეგმილია 12 კომერციული რეისი. ამასთანავე, სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინებით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ავიაკომპანიასთან ავიარების აღდგენის თაობაზე და კონკრეტული გადაწყვეტილებები ეტაპობრივად მიიღება.

ამასთან, საბჭოს სხდომაზე ყურადღება გამახვილდა PCR ტესტირების გაფართოების პროცესსა და მთავრობის განკარგულებით განსახლებულ ჯგუფებში ტესტირების მიმდინარეობაზე, ასევე კლინიკებში არსებულ მდგომარეობაზე. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების 931 დადასტურებული შემთხვევაა, საიდანაც 817 პირი უკვე გამოჯანმრთელდა. უცხოეთიდან სამკურნალოდ საქართველოში გადმოყვანილია საქართველოს 3 მოქალაქე. გარდაცვლილია 15 ადამიანი.

ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 2809 ადამიანი, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ - 229 პირი.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი, თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ხაშურში პროფესიული კოლეჯი მუშავებს

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მორიგი პროფესიული კოლეჯი ქალაქ ხაშურში მუშავებს. ამ დროისთვის მშენებლობა საწყის ეტაპზეა. პროექტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება. მინისტრის მოადგილე, თამარ ქიტიაშვილი, შიდა ქართლის რწმუნებულთან, გიორგი ხოჯევანიშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, პირადად გაეცნო დაწესებულ სამშენებლო სამუშაოებს.



150 სტუდენტზე გათვლილი სამართულიანი შენობა სრულ შენობაში იქნება საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან. უშუალოდ პირთათვის სრულად ადაპტირებულ შენობაში მოეწყობა თანამედროვე ტიპის სასწავლო სივრცეები, მათ შორის მაღალ ტექნოლოგიური სახელოსნოები.

გარდა სასწავლო კორპუსისა, სასწავლებლის ეზოში განთავსდება თანამედროვე სტანდარტის დია სპორტული მოედანი.

კოლეჯში შესაძლებელი იქნება რეგიონის საჭიროებებზე მორგებული ისეთი პროფესიების დაუფლება, როგორცაა: ელექტრობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, შედუღება, იატაკის მოპირკეთება, ქვის სამუშაოების წარმოება, კულინარია, კონდიტერია, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, მებაღეობა, სატყეო საქმე და სხვ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა

24 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომას უძღვებოდა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, გიორგი ცერცვაძის ანგარიში საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე მოწვევადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების სოციალიზაციის მიზნით კოვიდ-19-ის გავრცელების პირობებში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ ორგანიზებული აქტივობების შესახებ გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

გიორგი ცერცვაძემ საბჭოს წევრების შეკითხვებსაც უპასუხა.



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 34

2020 წლის 02 ივნისი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ნოემბრის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს კომისიების წლიური სამუშაო გეგმები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საჭიროებს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებას

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად. (დანართი თან ერთვის 1 ფურცელად);
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაგნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

მიხეილ ჯანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა

№	საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხების დასახელება	განხილვის დრო	საკითხზე მომხსენებელი	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი კომისია
1	2	3	4	5
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში გაწეული სქიანობისა და ახალი კორონავირუსის ((COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით გაწეული საქმიანობის მოსმენა-შეფასების შესახებ	ივლისი	ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის მოსმენა- შეფასების შესახებ	აგვისტო	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში სამსახურის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის კუთხით გაწეული მუშაობის მოსმენა-შეფასების შესახებ	სექტემბერი	მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ბარბარე კორკოცაძე - სიცოცხდე, რომელიც საუკუნეა გრძელდება

ვინც გინდა შემედავოს, მაინც ჩემს აზრზე დავრჩები: ქართველი ბებოები აბსოლუტურად განსხვავებული ფენომენი მგონია მსოფლიოს მასშტაბით და თუ ვინმეს აინტერესებს როგორია ნეტარების, სიხარულის, სიყვარულის, სიბოლოს ერთიანი სინქრონული გამოხატულება ადამიანის სახეზე, მაშინ ქართველი ბებო უნდა ნახო, რომელსაც შვილიშვილი უზის კალთაში. მის ნათქვამში კი გენაცვალოს, ბებო-ლამის მთელი მისი არსებაა ჩატეული და ამ ორ სიტყვაშიც იგრძნობა, რომ ამ პატარა არსებისათვის ათას ზღაპრულ დევს თუ ნებისმიერ ბოროტებას შეებრძოლება.

ბებოების კლასიფიცირება ვის გაუგია და მაინც, თუ გაგებდავთ, შეგვიძლია ასე განვსხვავოთ: ახალგაზრდა ბებო, შუახნის ბებო და ბებო, რომელ-



თაც შვილიშვილების კი არა, თვით სხვა ბებოების ჭკუის სწავლება შეუძლიათ და თუ მათი ასაკი უკვე საუკუნეს უდრის, მაშინ ხომ საერთოდ...

როგორ გვიხარია, როდესაც სხვადასხვა წყაროებიდან სწორედ ასეთი ადამიანების შესახებ ვიკვებთ. ახლაც ასე იყო. რა გაგვაჩერებდა, როდესაც გავიგეთ, რომ ამ დღეებში, ჩუმათელეთში მცხოვრებ ბარბარე კორკოცაძეს 100 წელი შესრულებია.

საკუთარი ხელით აშენებულ სახლში ვესტუმრეთ. როგორც მაშინდელი თაობის, არც მისი ცხოვრება არ ყოფილა მარტივი. მამით ადრე დაობლებულს, ომში ქმარიც გარდაეცვალა და მარტო შეუდგა ცხოვრების სიმძვინვარებთან ბრძოლას. წუწუნი არ უყვარს, არც განვლილ ცხოვრებაზე, არც ახლანდელ

ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ორი თვის წინ ოპერაცია გაიკეთა, მალევე გამოწერეს საავადმყოფოდან, ცდილობს, მხნედ და ენერგიულად გამოიყურებოდეს, ზის და იმედით გასცქერის მომავალს, ხან წარსულზე ფიქრობს, სადაც მისთვის საყვარელი ადამიანები დატოვა.

ჩუმათელეთში დავიბადე, აქვე გავთხოვდი 18 წლის, გარიგებით, როგორც წესი იყო ადრე. ერთი ბიჭი გამიჩნდა, ქმარი მეორე მსოფლიო ომში გარდაემეცვალა და დავრჩი ასე, ცას გამოკერებული ცხრა თვის შვილით. ადარ გავთხოვილვარ, მარტომ გადავწყვიტე ცხოვრების გაგრძელება და შვილის გაზრდა. ადვილი არ ყოფილა, არც სახლი მქონდა, კოლექტივში ვმუშაობდი, სანატორიუმში, ბანაკებში. ყველაფერს ვაკეთებდი. ძალიან მიჭირდა შვილის გაზრდა, არ ყოფილა ჩემი ცხოვრება ადვილი. ახლაც რომ ვფიქრობ განვლილ წლებზე, ვხვდები, რომ ბებო-ბებოები და გავაკეთე ჩემი ოჯახისთვის. სახლის აშენებაში ჩემი დედამამიშვილები დამეხმარნენ, ყოველთვის გვერდით მიდგნენ.



როცა ჩემი შვილი გაიზარდა და დამოუკიდებლად ცხოვრება შეძლო, მაინც არ გაგწერებულვარ, საქონლის ფერმა მქონდა. სტუმარმა იმატა ოჯახში, დიდი სტუმრინობა ახსოვს ამ სახლს. ახლა მეოთხე თაობას ვუყურებ იმედის და მოლოდინის თვალთ. მიხდა, რომ ყველას ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვო მშვიდობიან ქვეყანაში.

მხოლოდ კეთილი და იმედიანი სურვილები აქვს ყველას მიმართ. წელთა სიმრავლემ გული მეტი სიკეთით და სიყვარულით აუვსო. ზის საკუთარი ხელით ნაშენები სახლის ეზოში და ღოცვით აყოლებს გამგებლებს ცხოვრებისგან დადღილ თვალებს. დიდხანს უნდა იცხოვროს, რომ დანარჩენი სამყაროს ადამიანებს სიცოცხლის სიყვარული ასწავლოს.

თ. ჯავახიშვილი

სურათზე: მარჯვნიდან მეორე ბარბარე კორკოცაძე.

მკითხველთა კლუბი განსხვავებული ფორმატით შეიკრიბა

ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი გაერთიანების ცენტრის მკითხველთა კლუბი პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინებით განსხვავებული ფორმატით - ღია სივრცეში შეიკრიბა.

კლუბის ხელმძღვანელმა ნინო დოფიძემ და წევრებმა სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეაჯამეს და საზაფხულო დავალებებიც გაინაწილეს. კლუბის თითოეულმა წევრმა საზაფხულო საკითხავად მათ მიერ შერჩეულ წიგნს გაუწია რეკომენდაცია.

შეკრება როლური თამაშებით და დისკუსიით გაგრძელდა. შეხვედრას ესწრებოდა სტუმარი - კლუბის წევრების თანატოლი იუთუბ-ბლოგერი კესო მეტრეველი, რომელიც ყველა აქტივობაში ჩაერთო და კლუბის წევრებს ბლოგის შექმნის გამოცდილებაც გაუზიარა.

მკითხველთა კლუბის წევრებმა და ხელმძღვანელმა გამოთქვეს იმედი, რომ საზაფხულო არდადეგებზე წაკითხული წიგნებისგან მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარებას შემოდგომით, ჩვეულ გარემოში - სასწავლო აუდიტორიაში შეძლებენ.



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“2019 წ. #41,42,44,45,46,47, „ხმ“, 2020 წ. #2,3,4,5,6,7,8,9)

ეკლესიის II, - შენ მანდ სურამს იყავი, მანდაურობასა და ციხეს გაუფრთხილდი. სახასო სურამელი და ბეკმელი კაცი ხომ ღამჯარს არ დაგვიბარებია. ეკენიც მანდ არიან, მანდაურობაზე ბეჯითი იყავი, ყარაული იყოლიე, ნურას წაახდენ“.

სურამის ციხის აღებამ გამოახილი კპოვა ოსმალეთშიც, რომელიც ყოველთვის ზურგს უმაგრებდა აჯანყებულებს. წერილი, რომელსაც 1745 წლის 15 ივლისს ოსმალთა მაღალი თანამდებობის პირი (სახელდობრ, მთავარსადრალი) უგზავნის დავით თარხანს (თარხნიშვილი) ამ თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებოა. ოსმალთა მაღალჩინოსანი გივი ამილახორის „მოურავს და მოადგილეს“ - დავით თარხნიშვილს, - „საქართველოდან ოსმალეთს თავშეფარებული ხალხის“ თავისთან მოხმობას და შემოკრებას ავალეებს. ამასთან რჩევას აძლევს, მხოლოდ ოსმალეთიდან მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად იმოქმედოს და თავი შეიკავოს საწინააღმდეგო საქმიანობისგან. ამით ოსმალთა მაღალჩინოსანს სურს, თუ კი ახლო მომავალში ოსმალეთისთვის ხელსაყრელი მომენტი შეიქმნება ქართლში მზადყოფნაში ყოფილიყო ოსმალეთზე ორიენტირებული ძალები. წერილში ნათქვამია: „ქრისტიანი ხალხის თავდათა ბელადო, ამილახერიშვილი გივი ბეგის მოურავო და მოადგილე დავით თარხანო - ბედკეთილად დასრულდეს მისი სიცოცხლე - გაუწყებ, რომ: ოსმალთა სახელმწიფოს განუწყვეტელი ხელშეწყობით უკვე რამდენიმე წელიწადია ერთგულებითა და პატიოსნებით გვემსახურებო და ქართველთა ტომში შენ მართალი და უერთგულესი ხარ. ცხადია და ნათელი, რომ, როგორც ზემოსხენებულ ამილახერიშვილი, რომელთანაც შენ წინათ თანამშრომლობდი, ისევე შენც, უკვე დიდი ხანია საზოგადო მტერთან გამკლავების დროს თავდადებულობას იჩენდი და ჯარის სურსათ-სანოვაგითა და სხვა საჭიროებათა მომარაგების საქმეს ყოველმხრივ ასრულებდი. ამჟამად ციხე, რომელშიც ზემოსხენებულ ამილახერიშვილი გივი ბეგი იჯდა, მაღალი ალღაპის ნებით, ლაღუმისაგან დაინგრა და, ამგვარად, იგი მტერს ჩაუვარდა ხელში და ჯერხნობით ჩვენ არ ვიცით იგი (გივი ამილახერიშვილი) ცოცხალია თუ მკვდარი. მაგრამ ვინც ოსმალთა სარწმუნეობისა და ქვეყნისათვის ძალ-ღონეს არ დაიშურებს და განუხაზდრეულ მუყაითობას გამოიჩენს, მათი ღვაწლი და ამაგი არ დაიკარგება და ისინი მდგომარეობისა და ღირსების შესაბამისად კეთილად დაჯილდოვდებიან და სურვილი შეუსრულდებიან, რადგანაც ქვეშევრდომთა და მებრძოლთა მოყვარეობის ეს სათნო წესი წყალობის გაღების ეს მოწონებული ჩვეულება ძველი დროიდან მომდინარეობს. ამიტომ შენ მიერ გაწეული სამსახურისა და ამაგის სანუქვოდ შენ დანიშნული ხარ ქართველთა ტომის სარდალად. ამას გარდა შემდეგში გამხენი ღმერთის შეწვევითა და წყალობით და უფალი ღმერთის კურთხევითა და დახმარებით, უკეთუ განგებამ ქნა და მტერზე შური ვიძიეთ და ზემოსხენებულ ამილახერიშვილი გივი ბეგი ტყვეობიდან გათავისუფლდა, ის უწინდელივით, როგორც წარჩინებული, ხელისუფლების ადგილს დაიკავებს; დადგენილია და გადაწყვეტილია, რომ შენც გაწეული სამსახურის სამაგიეროდ და შენი წადილის შესაბამისად წარჩინებულთა შორის ღირსპატიოსანც იქნები. და უკეთუ ზემოსხენებულ ბეგის გამოსხნა ვერ მოგიხერხდება, იმ შემთხვევაში, უეჭველია რომ მის ადგილს შენ დაიკავებ და დანიშნას მიიღებ. და როდესაც შენ ამას გაცნობებენ, საქართველოდან ოსმალეთს თავშეფარებული ხალხი შენთან მოიხმე და შემოიკრიბე. და დიდი გულისყურით მოეკიდე ამ საქმეს და ეცადე, ქაღალდის მიწერით იქნება ეს თუ სხვა საშუალებით, რომ თავადები, აზნაურები და სხვა ქართველთა ჯგუფები შემოირიგო და დაამშვიდო ისინი; გამოიჩინე, როგორც საჭიროა, დიდი გულმოდგინება, რათა ეს ხალხი შენ შემოიკრიბო და გადმოიბირო; ეცადე, კარგი სახელი მოიპოვო და ყოველმხრივ ამ ბრძანების შესაბამისად მოიქცე და იმოქმედე, ამის საწინააღმდეგო მოქმედებას უფრთხილდი და თავი აარიდე“.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიფიკაციო ნაგებობები

როგორც ვხედავთ, ოსმალურ მხარეს კვლავ შორს მიმავალი მიზნები ამოძრავებდა, მაგრამ ქართლში სიტუაცია უკვე საგრძნობლად იყო შეცვლილი. სამეფო ტახტზე ასულ თეიმურაზს საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა ჰქონდა და ოსმალეთს რაიმე მნიშვნელოვანი სოციალური დასაყრდენი ქართლში აღარ უნდა ჰქონოდა. სურამში, XVIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა. ამის დასტური უნდა იყოს ალექსანდრე იმერთა მეფის 1745 წლის 22 თებერვლით დათარიღებული (ამ დროს სურამის ციხესთან ბრძოლები მიმდინარეობს - თ.ღ.) წყალობის წიგნი, რომელიც გაცემულია მურვანიშვილებისადმი. როგორც ჩანს, მურვანიშვილები, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, იმერეთში გადასულან და აქ თავშესაფარი უთხოვიან: „ჩვენ... მეფეთ-მეფემან, პატრონმან ალექსანდრემ, ესე ჩვენ-მიერი წყალობისა და სანდო და საიმედო წიგნი შეგიწყალეთ და გიმოძიეთ თქვენ მურვანიშვილებს მურვანსა, ბაკასა და რევაზს, შვილთა და მომავალთა თქვენთა, ასე რომე, პირველთაგანაც ჩვენი მკვიდრნი იყავით და მოიწივა ბოროტმან და ალაოხრეს ქვეყანანი ქართლისანი და მდილი და დაგვიჯჯებით, და დაგაყენეთ ჩვენსავე ქვეყანაში. არ გეფიქრებოდეს ჩვენგან და არც ჩვენის ბრძანების მორჩილის კაცისაგან, არა დიდთა და არაცა მცირეთაგან. თქვენ სამსახურსა და ერთგულობას ეცადებით და ჩვენ მიხნევასა და წყალობას არ დაგაკლებთ“.

სურამის ციხის ირგვლივ სამწლიანი ბრძოლა კარგად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს ციხე-სიმაგრე XVIII საუკუნის განმავლობაში ერთ-ერთ ძლიერ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ამაზე უნდა მეტყველებდეს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ნადირ-შაჰი, როგორც ჩანს, ბოლომდე არ ენდობოდა ქართველებს და ბრძანა ამილახორის ციხეების „დაქცევა“: „მოვიდა ბძანება ხელმწიფისა და ებძანა ამილახორის ციხეების დაქცევა...“, თუმცა მხოლოდ სურამისა და კეხის ციხეები დაანგრიეს („დაანგრიეს სურამისა და კეხის ციხე“). როგორც ჩანს ამ ციხე-სიმაგრეების უფრო მომეტებული შიში ჰქონდათ, სხვა ციხეებში კი, როგორებიც იყო: ახალდაბისა, სხვილოსი და სხვა, თეიმურაზმა „თვისნი მოსანდონი კაცნი დააყენა“.

1747 წელს ირანის მბრძანებელი გარდაიცვალა. ირანში საქმეები აირია, ამით ქართველებმა დრო იხელთეს და სურამის ციხე აღადგინეს, იგი ხომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში პირველხარისხოვან ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისისათვის უკვე აღდგენული ციხე სამეფო კარის მიერ სურამელი აზნაურების - მურვანიშვილების ვვარის მფლობელობაში გადაცემული. 1752 წლის 10 აგვისტოს ერეკლე II რევაზ მურვანიშვილს ავალებს სურამსა და მის ციხეს გაუფრთხილდეს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს: „ჩვენი ბძანება არის მურვანისშვილო რევაზ! - წერს ერ-

ეკლესიის II, - შენ მანდ სურამს იყავი, მანდაურობასა და ციხეს გაუფრთხილდი. სახასო სურამელი და ბეკმელი კაცი ხომ ღამჯარს არ დაგვიბარებია. ეკენიც მანდ არიან, მანდაურობაზე ბეჯითი იყავი, ყარაული იყოლიე, ნურას წაახდენ“.

სურამის ციხე ამ დროიდან ქვეყნის ცხოვრებაში კვლავ აქტიურად არის ჩართული. ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის ერთი ცნობით 1756 წელს „წაბძანდა მეფე ერეკლე კახეთს, მიბძანდა ქისიყს, დაიჭირა ქისიყის მოურავი თამაზ და პერობილი გაგზავნა და დააპატიმრა ციხესა სურამისასა“.

XVIII საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს მცირე ხნით სურამის ციხე იტრიელი ჩხეიძეების ხელშია. 1759 წლისათვის ციხე მურვანიშვილებისათვის ჩამოურთმევიათ და დავით ჩხეიძისათვის მიუციათ. ამავე წლის 21 აპრილის ბრძანებით, ერეკლე II ზაალ მახვილადეს ავალებს დავით ჩხეიძეს ჩამოართვას ციხე და კვლავ მურვანიშვილებს დაუბრუნოს. „ჩვენი ბრძანება არის მახვილადე ზაალ! მერე აქ ასე მოგვხსენდა: სურამის ციხე მურვანიშვილებისათვის გამოურთმევიათ და ჩხეიძისთვის მიუბარებიათ. თუ მართალი იყოს, რა წამს ეს ჩვენი ოქმი მოგივიდეს, მაშინვე უნდა წახვიდე, ჩხეიძეს ციხე გამოაბარო და ისევ მურვანიშვილებს მიაბარო. ეს წიგნები რომ მოგვეწერა ერთი დავით ჩხეიძეს მიეცი და ერთი მურვანიშვილებს. როგორც გვიბძანებია ასე გაარიგე“.

ერეკლე II იესე მურვანიშვილისათვის გაგზავნილ წერილში წერს: „ჩვენ მაგიერათ ჩვენს დიდს იმედს და დიდათ იმედათ მის(ა)ჩინელს მურვანისშვილს იესეს ასე უანბეთ. მერე აქ ასე მოგვხსენდა: შენთვის ციხე გამოუბარებიათ რად-მე და სხვისთვის მიუბარებიათ. ჩვენ მაგისი ყაბული არა გვაქვს. რა სწამს ეს ჩვენი ბძანება მოგივიდეს, მაშინვე ციხეში უნდა შეხვიდე და როგორც მი-გვიბარებია ჩხეიძეებისთვის, ისევ უნდა გამოაბარო და შენ მი(ი)ბარო. დიად, დიდი ხანი არის ეგ ციხე შენ გ(ა)ბარია და ისევ შენ უნდა გებაროს. ჩხეიძე დავითისთვისაც წიგნი მოგვიწერია. როგორც მიგვიბარებია, ისევ უნდა მოგაბაროს და როგორც შეგინახავს, ისევ კარგის სიფრთხილით უნდა შეინახო“(286).

სურამის ციხის მიმართ სამეფო კარი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა, რაზეც არაერთი დოკუმენტი მეტყველებს. 1762 წლის მაისში ერეკლე სურამის მოურავს ავალებს, რომ სურამელი სახასო „კაცები“ მუდმივად მდგარიყვნენ ციხეში. „ჩვენი ბძანება არის გაბრიელ მგალობელი! - ნათქვამია დოკუმენტში, - სურამს სახასოს კაცს, რომ ჩვენა არას ვართმევთ, მაგათგან სამი კაცი სულ მუდამ ციხეში უნდა დააყენოთ, ისე მურვანისშვილთან იყვნენ, ამას მოაბარე, მუდლორათ ციხეში იყვნენ და იღვანე“.

როგორც ვხედავთ, ერეკლე მეფეს, სურამში სახელმწიფო გლეხებიც კი ჰყოლია განთავისუფლებული გადასახადებისაგან ციხეში „მუდლორათ“ (მცველად) ყოფნის სანაცვლოდ. ასეთი დამოკიდებულება ციხის მიმართ კიდევ ერთხელ უნდა მიუთითებდეს ქართლ-კახეთის სამეფოს დასავლეთ საზღვრების დაცვის საქმეში მის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. 1764 წლის 21 ოქტომბერს ერეკლე II სურამისა და ოსიაურის ციხეებს დროებით თარხანოვს აძლევს. ბრძანებაში იგი კატეგორიულად მიუთითებს: ციხეები „რასაცა დრო ითხოონ, უნდა მიეცესთ“.

ამრიგად ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ, XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან, სურამის ციხემ მალე დაიბრუნა ქვეყნის თავდაცვის საქმეში პირველხარისხოვანი როლი და კვლავ მთელი რიგი მოვლენების ცენტრში აღმოჩნდა. ეს უმთავრესად ისეთ ცნობილ მოვლენაზე ითქმის, რომელსაც სახელად „ლეკიანობა“ ჰქვია.

ლეკები ქართლ-კახეთში მალულად თუ ცხადად დაძრწოდნენ, ალაზნიდან მოყოლებული ახალციხემდე, აჩანაგებდნენ და არბევდნენ დასახლებულ პუნქტებს იტაცებდნენ ადამიანებს, საქონელს და ნადავლით ახალციხეში მიდიოდნენ. გიულდენშტეტს კარგად აქვს დანახული ლეკების მოქმედების და საქმიანობის ბუნება, ხასიათი, ის თუ როგორ იყვნენ მოდებული მთელ აღმოსავლეთ საქართველოში.

“როგორც კი ლეკების ყაჩაღთა ბრბოები ალაზანზე გაველენ, ისინი მიცოცავენ ერთი ხევიდან, ბუნქიდან, დანგრეული ბინიდან მორეუხე, ასე მიდიან იმერეთამდე და თვით თურქთა ახალციხემდე, სადაც თავიანთ ნადავლს ასაღებენ”. იაკობ რაინეგის მიუთითებს, რომ „თუმცა აკისკას (ახალციხის-თლ.) მთები ქართლისათვის კარგი კედელია, მაინც მეფე ერეკლე არასოდეს არ ტოვებს ამ საზღვრებს დაუცველად, რათა თურქთა თავდასხმა არ დაუშვას. ასევე უზრუნველყოს მოგზაურთა და ვაჭართა უსაფრთხოება, რომელსაც ქართლიდან იმერეთში და უკან მოაქვს სურსათი“.

ამ ბუნებრივი „კედლის“ გვერდით ქვეყნის საზღვრების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდებოდა სურამის ციხის მეშვეობით, რომელიც ყოველთვის საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო.

ამიტომ იყო, რომ სამეფო კარი სურამის ციხე-სიმაგრის მიმართ შემდგომ წლებშიც ყოველთვის სათანადო ყურადღებას იჩენდა.

* * *

1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმდა ცნობილი გიორგიევსკის ტრაქტატი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ტრაქტატით გათვალისწინებული იყო ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის შემოსვლა. როგორც ირკვევა, სხვა ციხე-სიმაგრეების მსგავსად, რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი ქართველ მორიგებთან ერთად სურამის ციხეშიც ჩადგა, რაც განპირობებული იყო სამეფოს დასავლეთი საზღვრების დაცვის აუცილებლობით. ეს ის პერიოდია, როცა მუსულმანური სამყარო ერეკლეს მიერ რუსეთთან ტრაქტატის დადებითა და ქართლში რუსეთის ჯარის შემოსვლით ძლიერ უკმაყოფილებას გამოთქვამდა და ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ უკვე რეალურ ნაბიჯებსაც ღებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალციხის საფაშო, საიდანაც ეწეობოდა არა მარტო ცალ-ცალკე ოსმალების, ან ლეკების, არამედ ხშირად მათი გაერთიანებული ძალებითაც თავდასხმა ქართლზე. სწორედ ეს გარემოება ხდოდა აუცილებელს, რომ სურამის ციხეში ჯარი მუდმივად მდგარიყო.

XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში სურამის ციხე ზემო ქართლში ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტია. აქ მდგარი ქართველთა და რუსთა ჯარის ნაწილები იცავენ მთელი ზემო ქართლის რეგიონს და ხშირ შემთხვევაში სასტიკადაც უსწორდებიან მოთარეშე ლეკებსა და ოსმალებს. ასეთივე მდგომარეობა შეინარჩუნა სურამის ციხემ დამდეგი ახ-

(გაგრძელება IV გვერდზე)

(გაგრძელება)

ალი საუკუნის ორი ათეული წლის მანძილზე.

* * *

1791 წელს ერეკლე მეფემ შეადგინა ე.წ. „განწესებანი“, რომლითაც კიდევ ერთხელ დასტურდება სურამის ციხის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში. „განწესებანი“ აღნიშნულია: „ციხეებისაც ასე დაგვიწერია: ქალაქის ტფილისის ციხეები, გორის ციხე, სურამის ციხე, ანანურის ციხე, ბოჭორმის ციხე და გრემის ციხე, რომ ამ ციხეებს ნარიყალის ციხეებიც აქვს და ნარიყალეები ცოტას კაცით შეინახება. ამ შვიდს ალაგს ნარიყალეებში საერთოდ კაცნი უნდა ეყენოსთ, რაერთიც მოუნდესთ მცველათ“.

როგორც ვხედავთ, ერეკლე მეფე პირდაპირ მიუთითებს, რომ სურამის ციხეში, ყოველთვის უნდა მდგარიყვნენ მეციხოვნეები, რამდენიც არ უნდა ყოფილიყო ამისთვის საჭირო. სხვათაშორის, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ „განწესებანი“ ზემო ქართლის ციხე-სიმაგრეებიდან მხოლოდ სურამის ციხეა დაფიქსირებული.

ე.ი. „განწესებანი“ სურამის ციხე კიდევ ერთხელ ცხადდებოდა სახელმწიფო მნიშვნელობის ციხე-სიმაგრედ და მას სამეფო კარისაგან ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა, რაც სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტითაც დასტურდებოდა.

ქართლისა და კახეთის სხვა ციხეები „განწესებანის“ მიხედვით სათემოდ ცხადდებოდა და მათი შენახვა და მოვლა სათემო სოფლებს ეკისრებოდათ.

სურამის ციხის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა დადასტურებულია სხვა დოკუმენტებითაც. თვით თურქი მოგზაური ევლია ჩელები, ჯერ კიდევ XVII საუკუნის 40-იანი წლებისათვის აღნიშნავს, რომ სურამის ციხე თბილისის ხანის (ე.ი. როსტომ მეფის - თ.ლ.) განკარგულებაში იმყოფება.

სურამის, როგორც ქალაქის, სამოხელეო ინსტიტუტში სხვა სახელოებთან ერთად ვხვდებით ციხისთავის სახელოსაც. რადგან სურამის ციხე სახელმწიფო ციხედ ითვლებოდა, მის ციხისთავს სამეფო კარი ნიშნავდა.

პროფ. შ. მესხია აღნიშნავს, რომ „ამა თუ იმ ქალაქის ციხისთავი იმის მიერ ინიშნებოდა, ვისაც ქალაქი ეკუთვნოდა თუ ემორჩილებოდა. როცა საქართველოს ზოგიერთი ქალაქი უცხო დამპყრობელთა ხელში იყო, ციხისთავი უცხოელ მებატონეთა მიერ დანიშნული და ქალაქში უცხოელთა ბატონობისა და პოლიტიკის განმხორციელებელი იყო. ხოლო, როცა ესა თუ ის ქალაქი საქართველოს მეფეთა კუთვნილებას შეადგენდა, ქალაქის ციხე და მისი ციხისთავი ქალაქის მფლობელი, ქალაქის მოსახლეობაზე ბატონობის გამტარებელი იყო“.

აღნიშნული მთლიანად ვრცელდება სურამის ციხეზეც.

არაერთ დოკუმენტში დაფიქსირებულია სურამის ციხის ციხისთავი, გვხვდება აგრეთვე უცხოური ტერმინითაც „მინბაში“.

ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, რომელშიც იხსენიება სურამის ციხის ციხისთავი, მიეკუთვნება XVII საუკუნის 30-იან წლებს. ეს არის როსტომ მეფის 1633 წლის წყალობის წიგნი, რომლითაც ფარეშთუხუცესს პაატა ჯავახიშვილს ახალდაბის მოურავობა აქვს ნაბოძები. მასში ნათქვამია: „აწე მიბრძანებია კარისა ჩუენისა ვეჟილ-ვეზირნო, სხუანო მოსაქმენო, სურამის ციხისთავო, მოურავო, თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგათაც ამა ჩუენისა ნაწყალობევისა ფარვანაში ეწეროს და ნუ შეეცდებით, თანა დგომისა და შეწვევისაგან კიდე“.

როსტომ მეფის 1635 წლის სიგელში, რომელიც ეხება ნასყიდა არწუშაშვილისათვის ვენახის დაბრუნებას, სამეფო კარის მოხელეების გვერდით გვხვდება სურამის ციხისთავიც. „აწე გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვეჟილ-ვეზირნო, მდივანო და სხუათა მოსაქმენო, სურამის ციხისთავო, ვინცავენი დღეს იყვნეთ და ანუ ამას უკან იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით“.

ახვევ გვხვდება იგივე როსტომ მეფის მიერ შამბულიძეებისათვის სურამში 1644-1645 წლებით დათარიღებულ მამულის წყალობის წიგნში. ელენე დედოფლის მიერ აბაზაძის გვარისათვის 1693 წლის მიცემულ სიგელში და სხვა.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ სურამის სამოხელეო ინსტიტუტში სურამის ციხისთავს საპატიო ადგილი უჭირავს და მისი გავლენა ამაკმაღლია ამ მხარეში.

სურამის ციხეს გარდა ციხისთავისა (მინბაშისა), ჰყავს აგრეთვე ასისთავი (უზბაში). ეს დასტურდება ერეკლე II მიერ მდივანბეგ ნიკოლოზისადმი (აბაშიძე) 1785 წლის 6 აგვისტოს გაგზავნილი წერილით. წერილის მიხედვით ქვეშეთელი აბაშიძეების წარმომადგენელს, ნიკოლოზ აბაშიძეს, რომელიც მდივანბეგის სახელის ფლობს, თვითნებურად დაუკავებია სურამის ციხე. ამ თვითნებობას მოჰყვა ერეკლე მეფის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ახლა სურამის მოურავისა გვესმის, რომ სურამის ციხეში აღარ უშვებ და დაგითხოვნი. შენ მაგ ციხეში სრულობით საქმე არა გაქვს რა. მაგ ციხიდან უნდა გამოხვიდე, მამულეები გაქვს და თქვენს მამულში, საცა ვინდოდეს, მიბრძანდი და დადეგ. მინბაშისა და უზბაშებისათვის მოგვიწერია, ეს ასე უნდა აღსრულდეს: თქვენი მანდ დგომა აღარ იქნება“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოთ მოტანილი წერილის მიხედვით სურამის ციხეს რამდენიმე უზბაში (ასისთავი) ჰყავს.

საბუთებში გვხვდება აგრეთვე ციხის სხვა მოხელეებიც, კერძოდ, თავლანდარიც.

სურამის ციხის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იულიონ ბატონიშვილის მიერ 1793 წელს სურამელი ბერი ლოტუაშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნი, რომელიც თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. მასში საუბარია სურამის ციხისთავის შესახებ და ამ მხრივ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი ერთადერთ სრულყოფილ წერილობით წყაროს წარმოადგენს სურამის ციხისთავის სამოხელეო ინსტიტუტის შესახებ.

წყალობის წიგნის მიხედვით ბერი ლოტუაშვილი სურამის მამასახლისი ყოფილა და რაღაც მიზეზის გამო ეს სახელი მისთვის ჩამოურთმევიათ, თუმცა იულიონ ბატონიშვილი იქვე მიუთითებს, რომ იგი სამეფო კარის „ერთგული მოსამსახურე კაცი“ იყო და მამასახლისის სახელის ჩამოურთმევა მისი სურვილით არ მომხდარა. როგორც ჩანს, ამ საქმეში ისეთი პირი ყოფილა ჩარეული, რომელსაც უარი „არ ეთქმოდა და იმისის შუამავლობით სურამის მამასახლისობა სხვას ებოძა“.

ამის შემდეგ, განაგრძობს იულიონ ბატონიშვილი, „-მისმა სიმღლემ, სრულიად საქართველოს მეფემ ბატონმა მამაჩვენმა და საქართველოს დედოფალმა ბატონმა დედამეფამაც ინებესთ, და ჩვენ იმ სახელის სამაგვიროდ წყალობად თქვენ (ე.ი. ბერი ლოტუაშვილს-თ.ლ.) სურამის მეციხოვნობა გიბოძეთ, რომ ის ციხე თქვენ უნდა გეპარებოდესთ. როგორც მეციხოვნობის რიგი და მართებულია იმ წესით უნდა იქცოდეთ. ამას გარდა, კიდევ გიბოძეთ ციხის თავლანდრობა, რაც იქ სათავლანდრო საქმე არის სულ თქვენ უნდა გეპარებოდესთ და გეკითხებოდესთ. ამ სახელოების მოვლაზე დიდად ბეჯითად უნდა იყოთ, და რაც შეეკედლოსთ, თქვენ გარჯას უნდა არას აკლებდეთ. მარადის ის ციხე თქვენ გაბარიათ და თავლან-

დარიც თქვენა ხართ“.

ამრიგად 1793 წლიდან სურამის ციხისთავი ბერი ლოტუაშვილია, რომელსაც ეს სახელო უჭირავს 1797 წლამდე.

როგორც ცნობილია, ქალაქის ციხისთავს სამეფო ხელისუფლება ჯამაგირსა და ულუფას უნიშნავდა. იულიონ ბატონიშვილის წყალობის წიგნის მიხედვით ჯამაგირი და ულუფა აქვს დანიშნული სურამის ციხისთავსაც. როგორც ცნობილია, სურამში არსებობდა საბაჟო და აქაც ქალაქში შემოტანილ საქონელზე დაწესებული იქნებოდა საგანგებო ბაჟი, რომელიც „სამინბაშო ბაჟის“ სახელწოდებით არის ცნობილი. სამინბაშო ბაჟს სამეფო ხელისუფლება განსაზღვრავდა და გათვალისწინებული იყო არა მარტო „ციხის კარის გასამშვენებლად“, არამედ თავად ციხისთავისთვისაც.

წყალობის წიგნის მიხედვით, სურამის ციხისთავი განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან და სურამის საბაჟოდან წელიწადში დანიშნული აქვს სამი თუმანი. „ჩვენ ყოველსათხოვრიდამ ასე გავავითარებთ ხარო, და გავავითარებთ სუფლებიხარო, რომ არავითარი სათხოვარი თუ ბეგარა არა გეთხოვებთ რა. ამას გარდა, ჯამაგირიც გიბოძეთ წელიწადში სამი თუმანი. იქაურის ბაჟიდან ყოველსა წელიწადს უნდა აიღებდეს“-ნათქვამია დოკუმენტში.

ეს არის ერთადერთი პირდაპირი მითითება სურამის ციხისთავის ჯამაგირის შესახებ. იულიონ ბატონიშვილი იქვე მიუთითებს ბერი ლოტუაშვილს, რომ „ჩვენს სამსახურზე რასაც ერთგულად კიდევ უფრო გარჯას გვიჩვენებთ, სხვა წყალობაც დაგეპართებთ“.

ამრიგად, ერთგული და თავდადაბული სამსახურისთვის ციხისთავს სამეფო კარისაგან შეიძლებოდა კიდევ სხვა არაერთი წყალობა მიეღო.

სურამის ციხეში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მუდმივად უნდა მდგარიყვნენ მეციხოვნეები. მისი გარნიზონის შემადგენლობა რაოდენობრივი თვალსაზრისით, როგორც ჩანს, სწორად იცვლებოდა. ერთერთი პირველი ცნობა სურამის ციხის გარნიზონის რაოდენობის შესახებ ფრანგ მოგზაურთან - ჟან შარდენთან, არის დაფიქსირებული. მისი თქმით, სურამის ციხის გარნიზონი ასი კაცისაგან შედგებოდა.

სურამის ციხის გარნიზონი ძირითადად სამეფო ყმა-გლეხებისაგან შედგებოდა, ამას ემატებოდა ადგილობრივი თავად-აზნაურების ყმა-გლეხებიც. მათი შენახვა მოსახლეობას ეკისრებოდა. 1774 წელს ერეკლე მეფე ერთ-ერთ ბრძანებაში, რომლითაც სურამის მოურავს ციხეში ხალხის დაყენებას ავალებს, ნათქვამია: „ერთიც ეს სამი კაცი ჩუენის სახასოდამ და ორი შენი კაცი, ხუთი კაცი ციხეში დააყენე. ამათთვის სურამში მყოფთ შემკვიდრემ და ხიზანმა თითო ლიტრა ფქვილი და თითო თუნგი ღვინო უნდა მისცეს“.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა დროს სურამის ციხისთავები იყვნენ მურვანიშვილების, ჩხეიძეებისა და სხვა გვარის წარმომადგენლები.

XVIII საუკუნის II მეოთხედში, რაღაც პერიოდი, ციხისთავის სახელო ხიდირბეგიშვილს უჭირავს. ამილახორი ხიდირბეგი (ციხისთავი - თ.ლ.) მოწმეა დემეტრეს მიერ თავისი განაყოფ დათვისათვის ურთხვას „ბოლოკაძის ტეტენასეული მამული“ ნასყიდობის სიგელისა.

იულიონ ბატონიშვილის 1797 წლის ერთ წერილში სურამის ციხის ყოფილ ციხისთავად სურამელი ბერი კაკალაშვილია დასახელებული. უნდა შევნიშნოთ, რომ ბერი კაკალაშვილი და 1793 წლის იულიონ ბატონიშვილის წყალობის წიგნში მოხსენიებული ბერი ლოტუაშვილი ერთი და იგივე პიროვნებაა, რაც არაერთ დოკუმენტით დასტურდება.

1797 წლისათვის სურამის ციხისთავი ნინია კორინთელია.

XIX საუკუნის დასაწყისში სურამის ციხისთავის სახელო აბელ მურვანიშვილს უჭირავს.

* * *

1798 წლის იანვარში გარდაიცვალა ერეკლე II. სამეფო ტახტზე ავიდა ერეკლეს უფროსი ვაჟი გიორგი XII. მისი გამეფებიდან მეოთხე თვეს ძმებს შორის მოხდა განხეთქილება, რაც გამოწვეული იყო ერეკლეს ანდერძით, რომლის მიხედვითაც რიგრიგობით უნდა ემეფა ყველა შვილს. „ესრეთმა უგვანმა ანდერძმან... აღძრა შფოთი ძმათა შორის,“- აღნიშნავს ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი.

სამეფო კარზე შექმნილ მდგომარეობას იგივე პლატონ იოსელიანი შემდეგნაირად აღწერს: „იულიონ, გამეფებული ქართლსა, აღიარებდა უფლებასა თვისსა მეფობისა ტახტისათვის, ანდერძის გამო მეფისა ირაკლისა. ვახტანგ ანუ აღმასხან (ორსახელოვანი) არაგვისა განმეგ, ჰგონებდა თავსა თვისსა არა დამოკიდებულად მეფისაგან, ვითარცა ბატონი და ერისთავი ძველთა წესითა არაგვისა. მირიან ვაბატონდა მარტყოფსა და ფარნაოზი სურამს, ალექსანდრე ივლიტოდა სპარსეთსა და შევედრა ყვენსა, რეცა მტერი რუსეთსა“.

ჯერ კიდევ 1797 წლის დეკემბერში, ერეკლე მეფის გარდაცვალებამდე, ფარნაოზ ბატონიშვილმა სურამის ციხე მიიტაცა და გაამაგრა. ამ ფაქტის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის იულიონ ბატონიშვილი, აგრეთვე მისი კარის მღვდელი იოანე ქართველიშვილი თავის მემუარებში. ამავე საკითხს ეხება პლ. იოსელიანი თავის ცნობილ წიგნში „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა“.

შემფოთებული დარუჯან დედოფალი უკვე 8 დეკემბერს ზემო ქართლის სადროშოს სარდალს ოთარ ამილახვარს და ერთობით ქართლის მოხელეებსა და თავდაზნაურობას წერს: „დედოფალი დარუჯან მოგწერ ბატონო ამილახვარო ოთარ და ერთობით ქართლისა თავადებო, მოხელენო და აზნაურნო! მერე ჩვენი შვილი, ფარნაოზ, ჩვენს შეუტყობრად მანდეთ ქართლში მოსულა. აქამდინ ჩვენ მისგან ნამოქმედარი ზოგიერთი საქმე გვესმოდა, მაგრამ არა გვეჯეროდა, რომ იმ გვარს საქმეს გაბედავდა და ახლა ასე გავიგონეთ, რომ სურამს მისულა, ციხე დაუჭერია და სხვა რიგადაც უჯეროდ იქცევა. სადმე, რომ მაგას იმის ადგილი არა აქვს, ჩვენ ეს ამათს უმაღლესობას მეფეს არ მოვახსენეთ და არც სხვას მოვახსენებინეთ, რომ ვიცოდით დიდად იწყენდა და არ დასთმობდა და ამაზე გავუფრთხილდით, რომ წყენა სნეულების მომატების მიზეზად არ შექმნიოდა და ჩვენ ამას გვწერთ, რომ გავფრთხილდით ყველანი და არავინ შესცდეთ, რომ მაგ ჩვენს შვილს, ფარნაოზს აჰყენით, ან სიტყვა გაუგონოთ, თორემ ახლა ამ საქმეებზედ მაგის ამყოლს და სიტყვის გამგონს სულ სახლით და კარით ავაკლებინებთ და ასე რიგად გარდავახდევინებთ, რომ საუკუნოდ იმისი ოჯახი აღარ გამოდგეს. ეს ჩვენი შვილი იულიონიც გამოვისტუმრეთ და ჩვენი შვილიშვილი იოანე ხომ მანდ ქართლში არის. როგორც ამაზედ ამათი სიტყვა მოგივიდესთ ყველანი თანხმობით ისე უნდა მოიქცეთ და რომელიც ამაში ნაკლებობას იხმარებს, სამუდამოთ ჩვენი ოჯახის მტრობა არის და ამას ვერავის დაუთმობთ, ვერც დიდსა და ვერც მცირესა“.

ხე-ტყის დამზადების პრაქტიკა იცვლება, რაც შეამცირებს ტყეზე უარყოფით გავლენას და შემცირდება უკანონო ჭრები

ეროვნული სატყეო სააგენტო ხე-ტყის დამზადების პრაქტიკას ცვლის. სოციალური ჭრები ეტაპობრივად გაუქმდება, სააგენტო ორგანიზებულად განახორციელებს ხე-ტყის დამზადებას, დახარისხებასა და დასაწყობებას ე.წ. „საქმიანი ეზოებში“.

ახალი კოდექსით გათვალისწინებული ტყის მართვის, მათ შორის, „საქმიანი ეზოების“ მნიშვნელობაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ, მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს ყველა რეგიონში „საქმიანი ეზო“ მოეწყობა.

აღნიშნული ცვლილება გაუადვილებს მოსახლეობას და კერძო სექტორს ხე-ტყის შექმნას და ტრანსპორტირებას მათთვის სასურველ პერიოდში.

„აღსანიშნავია, რომ ტყის ახალი კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა უკვე დაამტკიცა, სატყეო სექტორის რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომლის მთავარი მიზანია მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის დამკვიდრება, ტყის ეკოსისტემების შენარჩუნება და დაცვა, სოციალური და ეკონომიკური სარგებლის გონივრული გამოყენება. ე.წ. „საქმიანი ეზო“ მოეწყობა, კოდექსით გათვალისწინებულ სხვა სიახლეებთან ერთად, წარმოადგენს ტყის მდგრადი მართვის დანერგვის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს“ - განაცხადა იური ნოზაძემ.



„საქმიანი ეზო“ მოეწყობისთვის სამუშაოები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მიმდინარეობს. წლის ბოლომდე, ქვეყნის მასშტაბით სულ 26 „საქმიანი ეზო“ მოეწყობა.

შედეგად, მერქნული რესურსის დამზადების მიზნით ტყითსარგებლობა განხორციელდება გაცილებით ეფექტიანად, შემცირდება ტყეზე უარყოფითი გავლენა, შემცირდება უკანონო ჭრები.

შედეგად, მერქნული რესურსის დამზადების მიზნით ტყითსარგებლობა განხორციელდება გაცილებით ეფექტიანად, შემცირდება ტყეზე უარყოფითი გავლენა, შემცირდება უკანონო ჭრები.

თანადგომისა და ქვედმოქმედების შესანიშნავი მაგალითი

ქვედმოქმედება სულის მდგომარეობააო, ნათქვამია. აბსოლუტურად ვეთანხმები ამ სენტენციას და ისიც ჭეშმარიტება მგონია, რომ უფალმა თითოეული ადამიანის გენეტიკაში ჩალო ქვედმოქმედების სურვილის „მოლეკულა“. აბსურდია იმის მტკიცება, რომ ქვედმოქმედებს შეიძლება სხვადასხვა ხარისხი ჰქონდეს, მაგრამ მიმანია, რომ მისი უმაღლესი გამოხატულებაა, როდესაც ამ ქვედმოქმედებას ადრესატები ბავშვები არიან.

გომის საჯარო სკოლას დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს სააქციო საზოგადოება გომის ქარხანასთან. არ ყოფილა შემთხვევა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ქარხნის მესვეურები გვერდში არ დადგომოდნენ ბავშვებს. ეს ტრადიცია წლებია გრძელდება და ასევე დღესაც. ბატონებს - დავით ლუგლაძეს და მალხაზ ჭყვიძელს მუდმივი ურთიერთობა აქვთ ჩვენს სკოლასთან და მუდმივად ვერძნობთ მათ თანადგომას. სკოლის სარემონტო მასალები, სხვადასხვა საგნის კაბინეტების მოწყობას წელს, კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, სადებიზფექციო საშუალებებიც დაუმატეს და მთლიანად უზრუნველყვეს სკოლის დეზინფექცია. მადლობა მათ ამისათვის. ღრმად მწამს, ბავშვებისთვის და მათი განათლების ასამაღლებლად გაწეული ქვედმოქმედება არა მარტო გომის, არამედ მთელი ქვეყნის სამსახურის ტოლფასია.

ბონდო გელაშვილი, გომის საჯარო სკოლის სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების პედაგოგი

რა იწვევს ანემიას დ როგორ ამოვიცნოთ ის

ანემია XXI საუკუნის ერთ-ერთი გავრცელებული და საკმაოდ საშიში დაავადებაა, რომელიც, დროულად აღმოჩენისა და ეფექტურად ჩატარებული მკურნალობის შემთხვევაში, უმეტესად გამოჯანმრთელებით მთავრდება.

სისხლი, რომელიც ჩვენს ორგანიზმში ცირკულირებს, პლაზმისა და სამი ტიპის უჯრედებისაგან შედგება. ეს უჯრედებია: ერითროციტები, ლეიკოციტები და თრომბოციტები. სწორედ ერითროციტები აწვდის ჟანგბადს მთელ ორგანიზმს. ჟანგბადის გადატანას ერითროციტები, მასში არსებული ჰემოგლობინის საშუალებით ახორციელებს.

ანემია სისხლში ერითროციტებისა და ჰემოგლობინის ნაკლებობას გულისხმობს, რის გამოც ქსოვილები ვეღარ იღებს საჭირო რაოდენობის ჟანგბადს. გულს უფრო აქტიურად უწევს მუშაობა ორგანიზმის ჟანგბადით მოსამარაგებლად, რაც ართიმების, სუნთქვის გაძნელებასა და მკერდის არეში ტკივილს იწვევს.

ანემიის განვითარების რისკის ქვეშ არიან ადამიანები, რომელთა საკვები რაციონი ღარიბია რკინისა და ცილების შემცველი პროდუქტებით, ასევე სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მქონე პირები, ორსულები და მეტაბოლური დეფიციტები.

თუ ხშირად დაღლილი იდვიდებით, უჩივთ ენერჯის ნაკლებობას, მესხიერების პრობლემებსა და ხასიათის ცვლილებასაც კი, შესაძლოა ამის მიზეზი ანემია იყოს. ამ დაავადებისთვის ასევე დამახასიათებელია: სი-

ფერმკრთაღე, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, კიდურების გაციება და მგრძობილობის დაქვეითება, თმისა და ფრჩხილების მტვრევადობა, უმადობა, სხეულის დაბალი ტემპერატურა.

ანემიის ერთ-ერთი ხშირი ნიშანია ყნოსვისა და გემოვნების გაუკუღმართება. ადამიანს მოსწონს ბენზინის, საპნის, ნავთის, გამონაბოლქვი აირების სუნის. აქვს მოთხოვნილება, საკვებად მიიღოს მიწა, ცარცი, კბილის ფხვნილი, ყავის მარცვლები.

აღნიშნული სიმპტომების გამოვლენის შემდეგ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. ანემიები დაავადებათა ფართო ჯგუფია, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც გამოწვევის მიზეზებით, ისე მიმდინარეობითა და საბოლოო შედეგით, ამიტომ აუცილებელია მკურნალობა ექიმმა ზუსტად განსაზღვროს ანემიის ტიპი და სწორად დაგეგმოს მკურნალობის კურსი.

გამამდიდრეთ საკვები რაციონი ხორცეულით, ცოცხალი ხილითა და ბოსტნეულით. გამოიყენეთ ლითონის ჭურჭელი, კვლეების თანახმად, ამ დროს საკვებში რკინის შემცველობა იზრდება, რკინა კი ქსოვილებს ჟანგბადს აწვდის. ნუ გააკეთებთ ეკონომიას საკვებ პროდუქტებზე, რადგან ის ჯანმრთელობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. გისურვებთ ჯანმრთელობას!

მერი ჩიტაძე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი

ცხადდება კონკურსი მენტორების შესარჩევად

CENN აცხადებს კონკურსს საზაფხულო მწვანე ბანაკებში მენტორების შესარჩევად. მწვანე ბანაკის მენტორები პასუხისმგებლები იქნებიან ბანაკის პროგრამის დაგეგმვაზე, ჩატარებასა და შეფასებაზე. კონკურსი ღიაა ყველა 18-29 წლის დაინტერესებული პირისათვის, თუმცა შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭება CENN-ის წარმატებულ კურსდამთავრებულებსა და შესაბამისი გამოცდილების მქონე კანდიდატებს.

მწვანე ბანაკის მენტორის პასუხისმგებლობები:
ბანაკის პროგრამის შედგენაში აქტიური მონაწილეობა CENN-ის მწვანე ბანაკის საორგანიზაციო ჯგუფთან ერთად;
თემატური სესიებისა და აქტივობების წარმართვა;
ბანაკის მონაწილეების სრული ზედამხედველობა და მათთვის უსაფრთხო, ინკლუზიური გარემოს შექმნა;

მწვანე ბანაკის მონიტორინგისა და შეფასების პროტოკოლის მიხედვით, ფოკუსჯგუფების შექმნა და მონაწილეების უკუკავშირის მიღება;
თითოეული დღის ბოლოს, ბანაკის ხელმძღვანელთან ანგარიშგება.

აუცილებელი მოთხოვნები:
სკოლის ატესტატი/დიპლომი;
პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი გრძობა;
კომუნიკაციისა და ლიდერობის უნარები;
სასურველია ბანაკში მუშაობის გამოცდილება;
სასურველია ინგლისური ენის მინ. 2 დონეზე ცოდნა.

დამატებითი ინფორმაცია:
შერჩეულ კანდიდატებთან მოხდება შეთანხმება მათი ბანაკის ნაკადებში განაწილებასთან დაკავშირებით;

ანაზღაურების შესახებ შეთანხმება მოხდება სამუშაო გრაფიკის, ნაკადებში განაწილებასა და აპლიკანტის გამოცდილების გათვალისწინებით;

მწვანე ბანაკები ჩატარდება ბულაჩაურის მწვანე ცენტრში;

მწვანე ბანაკები დაიწყება 20 ივლისს და გაგრძელდება 17 სექტემბრის ჩათვლით. შერჩეული კანდიდატი მონაწილეობას მიიღებს მინიმუმ 2 ნაკადში;

შერჩეულ კანდიდატებს დაეუკავშირდებით გასაუბრების დასანიშნად;

ყველა შერჩეული კანდიდატი აუცილებელია, დაესწროს მწვანე ბანაკის მენტორების საორიენტაციო ტრენინგს 13-16 ივლისს, რომელიც ჩატარდება ბულაჩაურის მწვანე ცენტრში.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გამოავაზონ რეზიუმე/CV და სამოტივაციო წერილი შემდეგ მისამართზე: giorgi.orkodashvili@cenn.org;

გთხოვთ, სთათურის ველში მიუთითოთ „ბანაკის მენტორი“. ელ-ფოსტის ტექსტში, გთხოვთ, მიუთითოთ 20 ივლისიდან 17 სექტემბრის განმავლობაში, რა პერიოდის დათმობას შეძლებთ მწვანე ბანაკისათვის.



ვეძებთ მენტორებს



ხაშურის მუნიციპალიტეტის ღირსშესაშინაობანი - ქვიშხეთი - მთაწმინდა.

ხაშურელი მოსწავლეების დიდი გამარჯვება

მიმდინარე წლის 15 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობის პროგრამის (SCOPE) ფარგლებში სამეცნიერო-ინტელექტუალურმა კლუბმა „თაობათა დიალოგი“ (RICDOG) განახორციელა პროექტი „სამართალდამცავი 2“.

პროექტის მიზანია ახალგაზრდობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და სამართალდამცავებსა და ახალგაზრდებს შორის პოზიტიური ურთიერთობისა და ნდობის ფორმირება.

პროექტში მონაწილეობას იღებდა 149 საჯარო და კერძო სკოლის მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეები საქართველოს 71 ადგილიდან (ქალაქი/დაბა/სოფელი).

პროექტში მონაწილეობდა 442 მოსწავლე, 44 მასწავლებელი, 21 სამართალდამცავი. SCOPE პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია ინტერნაციონალი-ი, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტში მონაწილეობა მიიღო ხაშურის მე-4 საჯარო სკოლის ორმა გუნდმა სახელწოდებით: „მოცეკვავე კაცუნები“ და „თრიალეთი“.

ჩვენი მოსწავლეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდმა „თრიალეთი“ საუკეთესო ოცეულში დაიმკვიდრა ადგილი (მე-14 ადგილი).

გუნდი „თრიალეთი“ მთლიანად მე-4 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებისაგან იყო დაკომპლექტებული: გუნდის კაპიტანი გელაშვილი მერი, ნოზაძე ნუცა, ბარბაქაძე ბარბარა, ტაბუცაძე ლევან, ინდუაშვილი ნიკოლოზ.

გუნდმა „მოცეკვავე კაცუნებმა“, ამ გრანდიოზულ ღონისძიებაში, დაძაბულ ერთთვიან ბრძოლაში სამართლიანად დაისაკუთრა II ადგილი. ბავშვებს გადაეცათ სპეციალური დიპლომები, საჩუქრები, ხოლო

მე-4 საჯარო სკოლას სიმბოლური პრიზი II ადგილისათვის.

გუნდი „მოცეკვავე კაცუნების“ შემადგენლობა ასეთი იყო: 1. გუნდის კაპიტანი - მეგრელიშვილი ანა - მე-4 საჯარო სკოლა; 2. ლომიძე მარიამ - მე-3 საჯარო სკოლა; 3. ბარბაქაძე მარიამ - I-ლი საჯარო სკოლა; 4. გიგაშვილი ნინო - მე-3 საჯარო სკოლა; 5. ლომიძე გიორგი - მე-7 საჯარო სკოლა. გუნდს ხელმძღვანელობას უწევდნენ მე-4 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ჯონდო ქიტიაშვილი და სამართალდამცავი მაიკო წკრიალაშვილი.

ეს ამ ბავშვების ძალიან დიდი გამარჯვებაა და ვუსურვოთ მათ შემდგომი წარმატებები.

გ. ქიტიაშვილი



ხაშურის #4 საჯარო სკოლის გუნდი 'მოცეკვავე კაცუნები' გამარჯვებული

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. ღირებულებები გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაშურის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.